

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №54
2017 წლის 13 დეკემბერი

ქ. წყალტუბო

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №34 დადგენილებაში (სსიპ – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.122.016377, თარიღი: 29/12/2016) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას (თ. მამარდაშვილი).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ ივანიშვილი

დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16,357.2	7,048.5	9,308.7	14,106.1	4,291.5	9,814.6	14,955.6	2,857.9	12,097.6
გადასახადები	1,192.0	0.0	1,192.0	2,532.8	0.0	2,532.8	2,680.0	0.0	2,680.0
გრანტები	13,398.7	7,048.5	6,350.2	10,087.5	4,291.5	5,796.0	8,510.3	2,857.9	5,652.4
სხვა შემოსავლები	1,766.5	0.0	1,766.5	1,485.8	0.0	1,485.8	3,765.2	0.0	3,765.2
ხარჯები	12,053.5	2,502.2	9,551.3	11,141.8	1,380.1	9,761.7	9,139.5	302.5	8,837.0
შრომის	2,164.5	72.1	2,092.5	2,286.8	80.2	2,206.7	2,000.1	71.8	1,928.3



ანაზღაურება									
საქონელი და მომსახურება	1,368.0	15.4	1,352.6	1,220.7	17.2	1,203.6	1,245.4	29.6	1,215.8
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	4,460.5	59.9	4,400.6	4,373.3	67.5	4,305.8	4,193.5	68.0	4,125.5
გრანტები	215.0	0.0	215.0	270.3	0.0	270.3	1.1	0.0	1.1
სოციალური უზრუნველყოფა	998.8	2.0	996.8	1,210.8	2.5	1,208.3	909.5	5.1	904.4
სხვა ხარჯები	2,846.8	2,352.9	493.9	1,779.8	1,212.8	567.0	789.9	128.1	661.8
საოპერაციო სალდო	4,303.7	4,546.3	-242.6	2,964.3	2,911.4	52.9	5,816.1	2,555.4	3,260.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,483.3	3,449.1	34.2	4,024.6	3,572.1	452.6	7,611.4	3,403.2	4,208.2
ზრდა	3,680.3	3,449.1	231.2	4,908.3	3,572.1	1,336.3	7,662.7	3,403.2	4,259.5
კლება	197.0	0.0	197.0	883.7	0.0	883.7	51.3	0.0	51.3
მთლიანი სალდო	820.3	1,097.2	-276.9	-1,060.3	-660.7	-399.7	-1,795.3	-847.8	-947.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	820.3	1,097.2	-276.9	-1,064.8	-660.7	-404.1	-1,914.0	-888.6	-1,025.4
ზრდა	1,097.2	1,097.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,097.2	1,097.2		0.0	0.0		0.0	0.0	0.0
კლება	276.9	0.0	276.9	1,064.8	660.7	404.1	1,914.0	888.6	1,025.4
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	1,064.8	660.7	404.1	1,914.0	888.6	1,025.4
ვალდებულებების ცვლილება	0.0	0.0	0.0	-4.4	0.0	-4.4	-118.7	-40.9	-77.8
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	4.4	0.0	4.4	118.7	40.9	77.8
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	4.4	0.0	4.4	118.7	40.9	77.8
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000



მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	16,554.2	7,048.5	9,505.7	16,054.6	4,952.2	11,102.4	16,920.9	3,746.6	13,174.3
შემოსავლები	16,357.2	7,048.5	9,308.7	14,106.1	4,291.5	9,814.6	14,955.6	2,857.9	12,097.6
არაფინანსური აქტივების კლება	197.0	0.0	197.0	883.7	0.0	883.7	51.3	0.0	51.3
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	1,064.8	660.7	404.1	1,914.0	888.6	1,025.4
გადასახდელები	15733.9	5951.3	9782.6	16054.5	4952.2	11102.4	16920.9	3746.6	13174.3
ხარჯები	12053.5	2502.2	9551.3	11141.8	1380.1	9761.7	9139.5	302.5	8837.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3680.3	3449.1	231.2	4908.3	3572.1	1336.3	7662.7	3403.2	4259.5
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	4.4	0.0	4.4	118.7	40.9	77.8
ნაშთის ცვლილება	820.3	1,097.2	-276.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 14 955.6 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	16,357.2	7,048.5	9,308.7	14,106.1	4,291.5	9,814.6	14,955.6	2,857.9	12,097.6
გადასახდელები	1,192.0	0.0	1,192.0	2,532.8	0.0	2,532.8	2,680.0	0.0	2,680.0
გრანტები	13,398.7	7,048.5	6,350.2	10,087.5	4,291.5	5,796.0	8,510.3	2,857.9	5,652.4
სხვა შემოსავლები	1,766.5	0.0	1,766.5	1,485.8	0.0	1,485.8	3,765.2	0.0	3,765.2



მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2680.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	1 192,0	0,0	1 192,0	2 472,8	0,0	2 472,8	2 680,0	0,0	2 680,0
საშემოსავლო გადასახადი		0,0			900,0		900,0	950,0		950,0
ქონების გადასახადი	113	1 192,0	0,0	1 192,0	1 572,8	0,0	1 572,8	1 730,0	0,0	1 730,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	824,8		824,8	1 222,8		1 222,8	1 380,0		1 380,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	1,5		1,5	0,0			0,0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	8,7	0,0	8,7	25,0	0,0	25,0	25,0	0,0	25,0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	4,2		4,2	20,0		20,0	20,0		20,0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	4,5		4,5	5,0		5,0	5,0		5,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	181,7	0,0	181,7	150,0	0,0	150,0	150,0	0,0	150,0
ფიზიკურ პირებიდან	1131141	148,5		148,5	100,0		100,0	100,0		100,0
იურიდიულ პირებიდან	1131142	33,2		33,2	50,0		50,0	50,0		50,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	175,3	0,0	175,3	175,0	0,0	175,0	175,0	0,0	175,0
ფიზიკურ პირებიდან	1131151	24,2		24,2	10,0		10,0	10,0		10,0
იურიდიულ პირებიდან	1131152	151,1		151,1	165,0		165,0	165,0		165,0



მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები **8 510.3** ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	კოდი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	13,398.7	7,048.5	6,350.2	10,087.5	4,291.5	5,796.0	8,510.3	2,857.9	5,652.4
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	13,398.7	7,048.5	6,350.2	10,087.5	4,291.5	5,796.0	8,510.3	2,857.9	5,652.4
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	6,350.2	0.0	6,350.2	5,966.0	170.0	5,796.0	5,822.4	170.0	5,652.4
გათანაბრებითი ტრანსფერი		6,194.2		6,194.2	5,796.0		5,796.0	5,652.4		5,652.4
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		156.0		156.0	170.0	170.0		170.0	170.0	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	7,048.5	7,048.5	0.0	4,121.5	4,121.5	0.0	2,687.9	2,687.9	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		5,978.7	5,978.7		2,930.2	2,930.2		2,687.9	2,687.9	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		1,069.8	1,069.8		1,191.3	1,191.3		0.0		

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **3 765.2** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები



			ტრანსფერები		ტრანსფერები		ტრანსფერები			
სხვა შემოსავლები	14	1,766.5	0.0	1,766.5	1,485.8	0.0	1,485.8	3,765.2	0.0	3,765.2
შემოსავლები საკუთრებიდან	141	469.4	0.0	469.4	155.0	0.0	155.0	641.5	0.0	641.5
პროცენტები	1411	392.6		392.6	50.0		50.0	268.5		268.5
რენტა	1415	76.8	0.0	76.8	105.0	0.0	105.0	373.0	0.0	373.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	76.6		76.6	104.0		104.0	324.0		324.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	0.2		0.2	1.0		1.0	49.0		49.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	707.2	0.0	707.2	761.2	0.0	761.2	2,874.0	0.0	2,874.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	689.1	0.0	689.1	746.2	0.0	746.2	2,859.0	0.0	2,859.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	12.8		12.8	40.0		40.0	62.0		62.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	1.8		1.8	0.0			0.0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	555.0		555.0	576.2		576.2	2,667.0		2,667.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	119.5		119.5	130.0		130.0	130.0		130.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	18.1	0.0	18.1	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	14232	18.1		18.1	15.0		15.0	15.0		15.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	0.0			499.7		499.7	230.0		230.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	582.8		582.8	0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	7.1		7.1	69.9		69.9	19.7		19.7



მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9 139.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	12,053.5	2,502.2	9,551.3	11,141.8	1,380.1	9,761.7	9,139.5	302.5	8,837.0
შრომის ანაზღაურება	2,164.5	72.1	2,092.5	2,286.8	80.2	2,206.7	2,000.1	71.8	1,928.3
საქონელი და მომსახურება	1,368.0	15.4	1,352.6	1,220.7	17.2	1,203.6	1,245.4	29.6	1,215.8
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სუბსიდიები	4,460.5	59.9	4,400.6	4,373.3	67.5	4,305.8	4,193.5	68.0	4,125.5
გრანტები	215.0	0.0	215.0	270.3	0.0	270.3	1.1	0.0	1.1
სოციალური უზრუნველყოფა	998.8	2.0	996.8	1,210.8	2.5	1,208.3	909.5	5.1	904.4
სხვა ხარჯები	2,846.8	2,352.9	493.9	1,779.8	1,212.8	567.0	789.9	128.1	661.8

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 7611.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 7662.7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	61.5	286.7	95.1
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.9	0.0	1.3
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3,521.9	4,476.3	6,624.2
04 00	განათლება	45.1	11.7	666.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	51.0	122.6	250.4



06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0.0	11.0	25.5
	სულ	3,680.3	4,908.3	7,662.7

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 51.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	197.0	883.7	51.3
ძირითადი აქტივები	92.2	720.7	21.3
არაწარმოებული აქტივები	104.8	163.0	30.0
მიწა	104.8	163.0	30.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 787,2	0,0	2 787,2	3 296,0	0,0	3 296,0	2 779,6	0,0	2 779,6
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 787,2	0,0	2 787,2	3 296,0	0,0	3 296,0	2 779,6	0,0	2 779,6
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 787,2	0,0	2 787,2	3 259,0	0,0	3 259,0	2 757,4	0,0	2 757,4
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	0,0	37,0	0,0	37,0	22,2	0,0	22,2



702	თავდაცვა	96,3	85,4	10,9	105,5	97,0	8,5	105,5	97,6	7,9
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	222,7	0,0	222,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	222,7	0,0	222,7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 914,3	4 431,9	482,4	3 182,8	2 362,0	820,8	6 200,3	3 281,1	2 919,2
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	77,6	0,0	77,6
70421	სოფლის მეურნეობა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	77,6	0,0	77,6
7045	ტრანსპორტი	3 859,6	3 428,2	431,4	3 097,2	2 362,0	735,2	5 648,5	3 275,6	2 372,9
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 859,6	3 428,2	431,4	3 097,2	2 362,0	735,2	5 648,5	3 275,6	2 372,9
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 054,7	1 003,7	51,0	85,6	0,0	85,6	474,2	5,4	468,7
705	გარემოს დაცვა	543,5	0,0	543,5	601,4	0,0	601,4	637,5	0,0	637,5
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	543,5	0,0	543,5	585,8	0,0	585,8	622,5	0,0	622,5
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0,0	0,0	0,0	7,2	0,0	7,2	0,0	0,0	0,0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,0	0,0	0,0	8,4	0,0	8,4	15,0	0,0	15,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2 254,4	1 105,4	1 149,0	3 976,0	2 420,1	1 555,8	2 235,7	254,1	1 981,6
7061	ბინათმშენებლობა	156,8	0,0	156,8	1 342,1	925,4	416,7	687,2	18,5	668,6
7063	წყალმომარაგება	161,0	0,0	161,0	350,2	291,6	58,6	239,7	115,2	124,5
7064	გარე განათება	326,4	0,0	326,4	316,6	0,0	316,6	460,6	0,0	460,6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 610,2	1 105,4	504,8	1 967,0	1 203,1	763,9	848,2	120,4	727,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	127,1	59,9	67,2	76,3	70,0	6,3	68,0	68,0	0,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	127,1	59,9	67,2	76,3	70,0	6,3	68,0	68,0	0,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2 168,9	266,7	1 902,2	1 968,6	0,0	1 968,6	1 483,4	0,0	1 483,4
	მომსახურება დასვენებისა									



7081	და სპორტის სფეროში	788,2	0,0	788,2	749,6	0,0	749,6	373,5	0,0	373,5
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 206,0	266,7	939,3	1 035,1	0,0	1 035,1	916,9	0,0	916,9
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0	100,0	0,0	100,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	74,7	0,0	74,7	83,9	0,0	83,9	92,9	0,0	92,9
709	განათლება	1 407,1	0,0	1 407,1	1 365,0	0,0	1 365,0	2 121,2	0,0	2 121,2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 308,5	0,0	1 308,5	1 365,0	0,0	1 365,0	2 121,2	0,0	2 121,2
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	98,6	0,0	98,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	1 212,4	2,0	1 210,4	1 478,7	3,0	1 475,7	1 171,0	5,0	1 166,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	70,3	0,0	70,3	83,0	0,0	83,0	88,5	0,0	88,5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	992,6	2,0	990,6	1 221,7	3,0	1 218,7	888,1	5,0	883,1
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	149,6	0,0	149,6	174,0	0,0	174,0	194,4	0,0	194,4
	სულ	15 733,9	5 951,3	9 782,6	16 050,1	4 952,2	11 098,0	16 802,2	3 705,7	13 096,4

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო – 1 795,3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება – 1914,0 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება – 1914,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 22.2 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 170.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 68.0 ათასი ლარი;



ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 97.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 5.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადაანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა და საგანგებო სიტუაციების მართვა – 106.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

1.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა – 106.1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა აღრიცხვა, წვევამდელთა შეკრება და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 9038.7 ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 5 637.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, კერძოდ: ქალაქ წყალტუბოში იმერეთის ქუჩის საავტომობილო გზის, ბესიკის ქუჩის საავტომობილო გზის, სოფელ მეორე უბნის საავტომობილო გზის და სოფელ სორმონში წმინდა სამების სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიისა და თოვლის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზების გაწმენდა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საავტომობილო გზებისა და ტროტუარების მოწყობის საგარანტიო თანხები, მათ შორის წყალტუბოში ნუცუბიძის, გურამიშვილის, თბილისის, დედა ენის, ნინოშვილის, ლორთქიფანიძის, შარტავას და 9 აპრილის ქუჩებზე ბეტონის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ. წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარე საყრდენი კედლების, ტროტუარების და



მწვანესაფარიანი გაზონების კეთილმოწყობის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქვიტირის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები; სოფელ ხომულის, ჯიმასტაროს, პირველი წყალტუბოსა და ქვიტირის, ასევე ქ. წყალტუბოში ევდომვილის, ხანძთელის, ბაგრატიისა და 9 აპრილის ქ. მე-3 შესახვევის, რუსთავისა და ტყაბლამის ქუჩების გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ოფურჩხეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში ევდომვილისა და ხანძთელის ქუჩების შემაერთებელი მონაკვეთის, სამაკაშვილის, წითლანადის ქუჩების, სოფ. ხომულში (თეთრი მღვიმე), სოფელ მალაკში (იმერეთის საყრდენი პუნქტი), ქალაქ წყალტუბოში გვანცელამის, გამსახურდიას, ახალგაზრდობის, ლორთქიფანიძის მე-7 ჩიხის, სოფელ საყულიაში, სოფელ ზედა ქვილიშორში, სოფელ ბანოჯაში (მელაძეების და საქუსლიას უბნებში), სოფელ გეგუთში (ვარციხეების დასახლება), სოფელ ქვილიშორში და სოფ. ბროწეულაში, ქ. წყალტუბოში თბილისის ქუჩის №5 ბინასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია; ქ. წყალტუბოში ნინოშვილის ქუჩის №5 ჩიხის, ნინოშვილის ქუჩის №1 ჩიხის, ბესიკის ქუჩის №5,7,9 ბინებთან მისასვლელი გზის, შანიძის ქუჩის №10 ბინასთან მისასვლელი გზის, დადიანის ქუჩის და 26 მაისის ქუჩის №2 ჩიხის, წერეთლის ქუჩის №1, 9 აპრილის ქუჩის №1, №1ა, №5 ბინებთან მისასვლელი გზების, 9 აპრილის ქუჩის №3 და კოსტავას ქუჩის შემაერთებელი მონაკვეთის, ბარათაშვილის ქუჩის №14 ბინასთან მისასვლელი გზის, ლორთქიფანიძის ქუჩის მე-2 ჩიხის, კლდიაშვილის ქუჩის მონაკვეთის, შვეჩენკოს ქუჩის №1 ჩიხის და აღმაშენებლის ქუჩის №1 ჩიხის რეაბილიტაცია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ პირველ წყალტუბოში გზის რეაბილიტაცია ცხელი ა/ბეტონის საფარით, ქალაქ წყალტუბოში ბესიკის ქუჩის №4 ბინასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ქალაქ წყალტუბოში დედაენის ქ. II ჩიხი №2 ბინასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, წყალტუბოში ჭავჭავაძის ქუჩის №9 და №11 ბინის ეზოს და დედაენის ქუჩის №11 და №13 ბინის ეზოს კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბროწეულა-მუხიანის რკინიგზის გადასარბენი 2284კმ-ის პიკეტი 2-ზე პირუტყვის გადასარეკი გვირაბის მოწყობა და „საინჟინრო კომუნიკაციის“ გადაკვეთის, ასევე ხაზობრივ ნაგებობად რეგისტრაციისათვის თანხმობის გაცემის დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ ზედა ონჭეიშთან დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია – დემონტაჟი – ახლის მოწყობა, სოფელ გუმბათში მთავარანგელოზის ტაძართან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია და სოფელ დღნორისაში ყვავეთის უბნის მოხრეშვის სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ათ ლოკაციაზე დანაგვიანების ამკრძალავი ნიშნების განთავსება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელ ცხუნკურში სასოფლო გზის მოსაწყობად 22 მ³ მზა ბეტონის შექმნა, ქალაქ წყალტუბოში 26 მაისის ქუჩის მე-4 ჩიხში გზის და დედა ენის ქუჩა №34 ბინასთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, სოფელ რიონის საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში რუსთავის ქუჩის პირველ ჩიხში 400 კვ. მეტრი გზის ასფალტო-ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში – წერეთლის ქუჩაზე (ბაზრის მიმდებარე ტერიტორია) 7000 კვ. მ გზის ასფალტო ბეტონის საფარით რეაბილიტაცია, სოფელ ბანოჯაში სასაფლაოსთან (მაღალების უბანი) გზის მოსაწყობად 16 კბ. მ მზა ბეტონის შექმნა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში ჭავჭავაძის მე-3 ჩიხში 500 მეტრი გზის, ქალაქ წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე №16 და №17 ბინებთან მისასვლელი გზის, სოფელ ფარცხანაყანებში წმ. მატრონას სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი 1200 მ² გზის, ქალაქ წყალტუბოში აღმაშენებლისა და სამაკაშვილის ქუჩების შემაერთებელი 400 მ² გზის, ქალაქ წყალტუბოში ავალიანის ქუჩის პირველი ჩიხი 240 მ² გზის, ქალაქ წყალტუბოში ზაალიშვილის ქუჩაზე 350 მ² გზის, სოფელ წყალტუბოში მე-10 ქუჩაზე 140 მეტრი გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში ბაგრატიონის ქუჩაზე მოწყობილი გზის საფარის (ბეტონის) ექსპერტიზა.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 2189.4 ათ.



ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის. გარე განათების შედეგად მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულების ანაზღაურება და მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

2.2.1. სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 136.9 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კოპიტნარის დასახლებაში, ქალაქ წყალტუბოში ლერმონტოვისა და კოსტავას ქუჩების გადაკვეთაზე 120 მეტრი სანიაღვრე არხების მოწყობა – რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში ყაზბეგის ქუჩაზე №23 და №25 საცხოვრებელ სახლებთან 50 მეტრი და სოფელ ქვიტირში დევნილთა დასახლებაში სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა.

2.2.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ღონისძიებები – 622.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ პროგრამით გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. დაფინანსდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.

2.2.3. შენობების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა – 714.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების საერთო სარგებლობის ეზოების მოწყობა ბეტონის და ასფალტობეტონის საფარით, სანიაღვრე არხების მოწყობა, ლიფტების რეაბილიტაცია, სადარბაზოების შესასვლელი რკინის კარებების მონტაჟი, სენსორული განათების მოწყობა, სახურავის რეაბილიტაცია, წყალ-საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია და სხვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების ცენტრის ჩამოყალიბების მიზნით ოფისის შეკეთება, კეთილმოწყობა, ინვენტარისა და ტექნიკის შექმნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ტყაჩირში საბავშვო ბაღის ეზოს შემორავვის, სოფელ ოფშკვითში სასოფლო კლუბისა და საბავშვო ბაღის ტერიტორიის შემოღობვისა და სანკვანძის მოწყობის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საგარანტიო თანხები, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში, ფარცხანაყანებში, ქვიტირსა და რიონში საბავშვო ბაღის მშენებლობა. ასევე სოფელ ჩუნეშში ნ. ლორთქიფანიძის სახლმუზეუმის რეაბილიტაციის სამუშაოები. ქალაქ წყალტუბოში №1 ბაგა ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ საყულიაში სასოფლო კლუბის გარე ფასადის რეაბილიტაცია, სპეც. ტექნიკის რეცხვისა და დეზინფექციისათვის სამრეცხაოს და ანტისეპტიკური ჭის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში კოსტავას ქუჩა მრავალსართულიან ბინაში მცხოვრები მოქალაქე ინეზა კაპანაძის ფართის გადახურვა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ გვიშტიბში არსებული შენობის დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობების მიმდებარე ტერიტორიებისა და არხების, ბინებისა და მის მიმდებარე



ტერიტორიებზე დეზინფექცია-დეზინსეცია-დერატიზაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ თერნალში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ასევე მუნიციპალიტეტის პარკში ფანჩატურის (საპიკნიკე სივრცე) მოწყობა და ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა №27-ში საკრებულოს ეზოში მდებარე შენობის მოწყობა სასწრაფო დახმარების სამსახურისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში გურამიშვილის ქუჩა №1-ი ბინის მთელ პერიმეტრზე სარინელებისა და სანიაღვრე არხის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში სანატორიუმ „მეტალურგის“ მიმდებარედ სკვერის მოწყობა.

2.2.4. წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია – 239.7 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ქვილიშორში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა თანადაფინანსებით და სოფელ წყალტუბოს მკვებავი წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამების ფარგლებში მოხდება სოფელ ბანოჯაში არსებული 50 ტონიანი სასმელი წყლის რეზერვუარის სათავო-ნაგებობის მოწესრიგება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ გეგუთში ვარციხჰესის დასახლებაში სასმელი წყლის ტუმბოს შეძენა – მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება აიპ – „წყალტუბოს კეთილმოწყობის ცენტრის“ წყალმომარაგების ქსელზე დაერთება და სოფელ ხომულში ჭავჭავაძის მე-3 ჩიხში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალურ პარკში მადრევნების წყლის ხარჯი.

2.2.5. გარე განათება – 460.6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ ჯიმასტაროში გარე განათების სისტემის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქუთაისი-წყალტუბოს საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია, ქალაქ წყალტუბოში დედა-ენის ქუჩა №15, №17 ბინების მიმდებარედ და ქალაქ წყალტუბოში ქუთაისის ქუჩაზე გარე განათების სისტემის მოწყობა. ხოლო გ. ტაბიძისა და მარჯანიშვილის ქუჩაზე გარე განათების ელ. ენერჯის სიმძლავრის გაზრდა და სამფაზიანი ორი აღრიცხვის კვანძის მოწყობა, სოფელ ზედა მესხეთში მელაძეების უბანში მინი სპორტული მოედნის გარე განათების ელ. გამანაწილებელ ქსელზე დაერთება აღრიცხვის კვანძის მოწყობა. დედაენის №15 და №17 ბინების, წყალტუბოს-ქუთაისის ქუჩაზე და აიპ – „წყალტუბოს კეთილმოწყობის ცენტრის“ ელ. გამანაწილებელ ქსელზე დაერთება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა

2.2.6. მაწანწალა ძაღლების იზოლირება – 15.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მაწანწალა ცხოველების იზოლირება.

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 952.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ – „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის“ სუბსიდირება და არაფინანსური აქტივების შეძენა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სოფელ პატრიკეთში, საყულიასა (საბავშვო ბაღთან) და ტყაჩირში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ წყალტუბოში ყაზბეგის ქუჩაზე არსებული სასაფლაოს შემორაგვა, სოფელ გვიშტიბში მდებარე ძმათა სასაფლაოზე დაჩენილ საფლავთა კეთილმოწყობა, სოფელ პატრიკეთში არსებული სასაფლაოს ნაწილის (70 მეტრი) მავთულ-ბადით შემორაგვა.

2.4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 120.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები.

2.5. საპროექტო დოკუმენტაცია და საექსპერტო მომსახურება – 133.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში მომზადდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაცია.

2.6. საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება – 5.4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება..

3. განათლება – 2 121.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1. საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსება – 2 121.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

პროგრამის ფარგლებში მოხდება №2 საბავშვო ბაგა-ბაღისა და სოფელ ოფშკვითის საბავშვო ბაღის განახლებითი სამუშაოების და სოფელ ცხუნკურის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1 634.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 498.2 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ – „წყალტუბოს სპორტული კლუბების გაერთიანების“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.



პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: სხვადასხვა სპორტული ინიციატივები, გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში, ჯემალ ბერაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, შალვა ბზიკაძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, მკლავჭიდის ტურნირი, გარბენი ქალაქის რკალზე, ნოდარ კობრეიძის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, მხიარული სტარტები ბაღებს შორის, სამოყვარულო ტურნირი ნარდში, კობა ნემსიწვერიძის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, წარმატებული სპორტსმენებისათვის ჯილდო, დავით აფხაძის ხსოვნის ტურნირი ბ/რომაულ ჭიდაობაში, ზურაბ ბადირეიშვილი ხსოვნის ტურნირი კალათბურთში, სულიკო ნიქაბაძის სახელობის ფეხბურთის ტურნირი, სპორტული სასკოლო ოლიმპიადა, ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში, როინ მეტრეველის ხსოვნის ტურნირი ხელბურთში.

